

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**დავით შარაბიძე**

**რეგიონალური ლოგისტიკური აგრარული ცენტრების სტრუქტურულ-  
ფუნქციონალური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის ოპტიმიზაცია**

ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის დოქტორის (0407) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
სტუ-ს პროფესორი ლევან ბოცვაძე**

**ქუთაისი 2018**

## შინაარსი

შესავალი .....	7
თავი 1. განსახილველი საკითხის აქტუალობა და ამოცანის დასმა .....	17
1.1. ინტეგრირებული ლოგისტიკა და ინტერმოდალიზმის თეორია, საერთაშორისო მარკეტინგი, როგორც საერთაშორისო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა ოპტიმალური სისტემის შექმნის მეთოდოლოგიური საფუძველი .....	17
1.2. ციტრუსების რეალიზაციის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემის შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის პრობლემებზე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოთა ანალიზი ....	28
1.3. რეგიონული სატრანსპორტო გამანაწილებელი სისტემების ფორმირების ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები .....	35
1.4. ამოცანის არსი, გამოკვლევის მიზანი, სტრუქტურა და მეთოდები .....	40
თავი 2. შედეგები და მათი განსჯა .....	49
2.1. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის სტრუქტურულ ფუნქციონალური გამოკვლევა და ფუნქციონირების დაგეგმვის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელირების საფუძვლების დამუშავება .....	49
2.1.1. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრებში საექსპორტო მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის შექმნისა და განვითარების პროგნოზირების, დაგეგმვის, პროექტირებისა და მართვის ძირითადი ამოცანები.....	49
2.1.2. რეგიონულ აგრარული ლოგისტიკის ცენტრი, როგორც საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის ძირითადი საწარმოო რგოლი და ცენტრალური კომპანია .....	54
2.1.3. საერთაშორისო რეგიონულ ლოგისტიკის ბაზრებზე საექსპორტო ციტრუსების ლოგისტიკის ჯაჭვის სქემები საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელი .....	59
2.1.4. ციტრუსების დამზადების, შენახვისა და გადაზიდვების	

სტანდარტული ტექნოლოგიური რეჟიმები .....	69
2.1.5. ციტრუსოვანი ხილის საავტომობილო გადაზიდვების სატრანსპორტო ქვესისტემის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი მარშრუტით „ფერმერული მეურნეობა-რეგიონული აგრარული“ ლოგისტიკის ცენტრი .....	71
2.1.6. ციტრუსების ინტერმოდალური გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეულის ფორმირება და მისი პარამეტრების შერჩევა: პაკეტის მექანიზირებული ფორმირების ტექნიკა და ტექნოლოგია .....	80
2.1.7. საექსპორტო ციტრუსოვანი ხილის ინტერმოდალური გადაზიდვების პროექტების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სტრუქტურა .....	88
2.1.8. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრი, როგორც საერთაშორისო ბაზარზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის ცენტრალური რგოლი .....	98
2.2. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის დაგეგმვისა და ფუნქციონირების განზოგადოებული მათემატიკური მოდელის დამუშავება .....	105
თავი 3. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრის სტრუქტურულ - ფუნქციონალური სისტემის გამოკვლევა და ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავება .....	121
თავი 4. ციტრუსების საექსპორტო გზავნილებათა სისტემის სარკინიგზო (საზღვაო) გადაზიდვების ორგანიზაცია და დაგეგმვა .....	130
თავი 5. მარშრუტით დანიშნულების ტერმინალი (DAT) – დანიშნულების პუნქტი (DAP) ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის საავტომობილო - პაკეტური გადაზიდვების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავება .....	137
2.5.1. მარშრუტით დანიშნულების ტერმინალი (DAT) – დანიშნულების პუნქტი (DAP) პაკეტური საავტომობილო გადაზიდვების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი .....	137
თავი 6. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდების	

ქვესისტემების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები. სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერატორული კომპანიების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები .....	145
2.6.1. სატრანსპორტო-ლოგისტიკის კომპლექსების ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია .....	145
დასკვნა .....	154
ლიტერატურა .....	159
დანართები .....	169

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ციტრუსების შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მათი სახისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით .....	71
ცხრილი 2. სარკინიგზო ტრანსპორტით ციტრუსების საექსპორტო გადაზიდვების ეფექტურობის ხვედრითი მაჩვენებლები .....	85

## ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ოპტიმალური ციტრუსების მიწოდებათა ინდერმოდალური სისტემის შექმნისა და ეფექტურობის ამაღლების პრობლემაზე გამოკვლევის ტექნოლოგიური რუკა .....	43
ნახ. 2. საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის ამოცანების მოდელური კომპლექსის ფუნქციონირების საბაზო სქემა .....	53
ნახ. 3. რეგიონული გამანაწილებელი აგრარული ცენტრის ლოგისტიკის სისტემის სქემა .....	57
ნახ. 4. საერთაშორისო მიმოსვლებში ტვირთების მიზიდვის ლოგისტიკის ჯაჭვი საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მონაწილეობით .....	61
ნახ. 5. საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელის აგების ლოგისტიკის სქემა .....	65
ნახ. 6. ტვირთების გადაზიდვის სისტემა ფერმერულ მეურნეობებში .....	73
ნახ. 7. ფერმერულ მეურნეობაში სატრანსპორტო ქვესისტემის გამოკვლევის პროცესი .....	74
ნახ. 8. 1) საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით; 2) მზა შეკრული პაკეტი .....	82
ნახ. 9. 1) საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით; 2) მზა შეკრული პაკეტი .....	83
ნახ. 10. დახურული ვაგონი ცალობითი ტვირთების გადასაზიდად: უნივერსალური დახურული ვაგონი ტვირთამწეობით $G_3 \in G_p$ შიგა მოცულობით $V_{\text{შ}}=106 \text{ მ}^3$ .....	84
ნახ. 11. პაკეტმაფორმირებელი მანქანა ტვირთებს შორის ჰორიზონტალური ფორმირებით .....	87
ნახ. 12. პაკეტმაფორმირებელი ავტომატები (გადამტვირთავი რობოტები) – იატაკის `ვერსანტრანის` ტიპის (ა) და ჩამოსაკიდებელი	

ერთრელსიანი (ბ).....	87
ნახ. 13. სატრანსპორტო პაკეტების განთავსება სტანდარტულ საძირეებზე 1200X800 მმ ან 1200X800 მმ მსხვილტონაჟიან კონტეინერებში მასით 20 ტ (ა) და 30 ტ (ბ) ხედი ზემოდან და განივკვეთის ჭრილი (გ).....	94
ნახ. 14. საექსპორტო (ციტრუსების) პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ურთიერთქმედების სქემა .....	97
ნახ. 15. რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრის სტრუქტურულ- ფუნქციონალური სქემა .....	102

## შესავალი

**პრობლემის აქტუალობა.** საქართველოს სუბტროპიკული მეხილეობის რეგიონებში ციტრუსების მოსავლის უდანაკარგოდ აღება მოყვანის, მიღებისა და გადამუშავებას რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების შექმნა და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე მათი მიწოდების სისტემის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკისათვის. ციტრუსების მოყვანა და რეალიზაცია საქართველოს სუბტროპიკებში წარმოადგენს ამ რეგიონების მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთ წყაროს. ციტრუსების, ხილის საერთო რაოდენობა წლიურად აღწევს 90-100 ათას ტონას. ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების სპეციფიკური აგრარული საწარმოების (ცენტრების) შექმნისა და პროექტირების სპეციფიკური მეთოდოლოგიის არ არსებობის გამო ციტრუსების წლიური მოსავლის 20-50% ყოველწლიურად ილუპება. ამას ემატება ამ ობიექტების შექმნისა და მისი მიწოდების საქონელმოდრობის გამტარი სისტემის შექმნის მეთოდოლოგიისა და მაცივარ-შემნახველების არ არსებობის გამო. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების, ექსპორტში მათი მიწოდების გლობალური ლოგისტიკის ჯაჭვების მართვის კომპლექსური მეთოდოლოგიის (თეორიის) დამუშავებას. ასეთი თეორიის დამუშავება მრავალწახნაგიან ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს და მისი გადაწყვეტა მოითხოვს სხვადასხვა მიმართულების მეცნიერთა და სპეციალისტთა შეთანხმებულ მუშაობას.

პრობლემის გადაწყვეტის აქტუალობა განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით.

1. ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირებისა, ბიზნესისა და ვაჭრობის განვითარების გლობალიზაციით, რომელიც ეყრდნობა გლობალური სახელმწიფოთაშორის სატრანსპორტო-ლოგისტიკის, ტელე-საკომუნიკაციო, სადისტრიბუციო და სხვა მაკროლოგისტიკის სისტემების შექმნასა და განვითარებას. პრობლემის გადაწყვეტას თავისებურ სტიმულს აძლევს ევროკავშირის ასოცირებული წევრობის ხელშეკრულების ხელმოწერა და ძალაში შესვლა.

2. ინტეგრაციული კავშირების განვითარებით მსოფლიოს მრავალ რეგიონში სახელმწიფო საზღვრები გახდა გამჭვირვალე ადამიანების, საქონლის, ინფორმაციისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის; საქართველოს სწრაფვით

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციისაკენ, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ საქართველოსათვის.

რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების და საერთაშორისო ბაზრებზე კონსოლიდირებული საექსპორტო გზავნილებათა გლობალური მიწოდებათა სისტემის შექმნის მეთოდოლოგია, ჯერჯერობით დამუშავებული არ არის. ასეთ სისტემებში მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემების შექმნა წარმოებს ინტერმოდალურ საფუძველზე, რომლის არსი მდგომარეობს ტრანსპორტის სახეთა ურთიერთქმედებაში. ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოებს ამოცანათა კომპლექსის გადაჭრის საფუძველზე. მათი გადაჭრა წარმოებს მოდელირების თანამედროვე აპარატის, კვლევისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების, კომპიუტერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მათ მიეკუთვნება: იმიტაციური და სტრუქტურული ჯაჭვების სტრატეგიული დაგეგმვის კომბინირებული მოდელები (საწარმო-სატრანსპორტო-სასაწყობო).

საქართველოში ევროკავშირის ანალოგიური სატრანსპორტო და ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის, ლოგისტიკის და აგრარული ცენტრების, მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების შესაქმნელად საჭიროა ეკონომიკის ყველა დარგში ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის შესაბამისი მეთოდოლოგიის დამუშავება არსებულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც ინტერმოდალური გადაზიდვები და გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვის ოპერატორული მართვის პროცესები, ისე ურთიერთქმედება საერთაშორისო ტრანსპორტის სხვადასხვა სახეთაშორის და პერსპექტიული სატრანსპორტო მნიშვნელობა.

ციტრუსების კონსოლიდირებული საექსპორტო მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების მართვის მეთოდოლოგიის დამუშავება უნდა ჩატარდეს ციტრუსების მიწოდებათა ჯაჭვების გამოკვლევის მაგალითზე ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე.

საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების შექმნის ცალკეული ასპექტების სამეცნიერო დამუშავებებში დიდი ყურადღება აქვთ დათმობილი საზღვარგარეთის მეცნიერებს: დ. ბაუერსოკსის, დ. ლამბერტის, დ. უოტერსის, დ. შაპიროს, ხ.



ხოლენსენის; დსთ-ს მეცნიერების: ო. მალიკოვის, დ. მიროტინის, ს. რეზერის, ნ. გრომოვის, ვ. სერგეევის, ვ.კლეპიკოვის, ს. სარქისოვის და სხვა ავტორების შრომებში.

ჩამოთვლილ მეცნიერთა შრომებში მოცემულია ლოგისტიკის ბაზრების შექმნის საერთო მეთოდოლოგიური საფუძვლები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ ქმნიან ასეთი ბაზრების შექმნის თეორიულ საფუძვლებს და ამასთან ერთად ისეთი ობიექტების, როგორც არის ლოგისტიკის აგრარული ცენტრები. აგრარული ლოგისტიკის ბაზრების შექმნის ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს დამატებით გამოკვლევათა ჩატარებას და ოპტიმალურად ფუნქციონირებადი აგრარული ცენტრებისა და მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების მართვის კომპლექსური მეთოდოლოგიის დამუშავებას.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს მაკროლოგისტიკის სისტემების – რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის (ორგანიზაციის) სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდოლოგია და საწარმო-სატრანსპორტო-ლოგისტიკის (სასაწყობო) პროცესებში მონაწილეთა ინტეგრაციის ფორმირების პროცესები.

გამოკვლევის ფორმულირებადი ობიექტისა და საგნის, აგრეთვე იმ შედეგების ანალიზის საფუძველზე, ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა გადაწყდეს რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების და ექსპორტულ მიწოდებათა სისტემის შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდოლოგიის დამუშავების კომპლექსური სამეცნიერო პრობლემა.

**გამოკვლევის მიზნები და ამოცანები.** სამეცნიერო ნაშრომის მიზანია თეორიული განზოგადოება და უცხოეთის ბაზრებზე ქართული ციტრუსების ნაყოფის საექსპორტო გზავნილებათა მიწოდების პროცესების ოპტიმიზაცია რეგიონთაშორისი ლოგისტიკის აგრარული ცენტრების შექმნითა და საერთაშორისო საბორნე გადასასვლელების გამოყენების გზით. ამ მიზნის შესაბამისად ნაშრომში გადაწყვეტილია და დამუშავებული შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების აგრარული ცენტრების ლოგისტიკის სისტემებში პროცესების გამოკვლევის მეთოდოლოგია;

- ციტრუსების კულტურის მოსავლიანობის, მასზე მოთხოვნისა და პროდუქციის გასაღების პროგნოზირების მეთოდები;
- ციტრუსების დამზადებისა და პირველადი ტრანსპორტირების ქვესისტემის გამოკვლევა და ოპტიმიზაცია;
- ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიური საამქროს ტექნიკური აღჭურვილობისა და ფუნქციონირების პროცესების ოპტიმიზაცია;
- დახარისხებული ციტრუსების ნაყოფის დროებითი შენახვის საწყობის ტექნიკური აღჭურვილობისა და ფუნქციონირების პროცესების ოპტიმიზაცია;
- ციტრუსების შეფუთვისა და ტარის საწყობის ტექნიკური აღჭურვილობის ტექნოლოგიური გაანგარიშება;
- აგრარული ცენტრის შეფუთვისა და კონსოლიდაციის საწყობის ტექნიკური აღჭურვილობისა და ფუნქციონირების პროცესის ოპტიმიზაცია;
- აღმოსავლეთ ევროპის სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო გზავნილებათა მიწოდებისა და ინტერმოდალური გადაზიდვების სისტემის მათემატიკური მოდელირება და ოპტიმიზაცია მრავალ-ეტაპური გადატვირთვების გათვალისწინებით;
- ციტრუსების ნაყოფის პაკეტური სარკინიგზო გადაზიდვების სატრანსპორტო ქვესისტემის მოდელირება და ოპტიმიზაცია საერთაშორისო საბორნე გადასასვლელების გამოყენებით;
- საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდებათა სისტემის ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლების, სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერატორული კომპანიების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდისა, საბაჟო გადასახდელების ლოგისტიკის მეთოდების დამუშავება;
- მეცნიერული რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავება საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ციტრუსების ინტერმოდალური გადაზიდვებისა და მიწოდების ლოგისტიკის ჯაჭვების მართვის სისტემის შექმნის განვითარება და ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლება რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრებისა და საერთაშორისო საბორნე გადასასვლელების მონაწილეობით.

**გამოკვლევის ობიექტი:** გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს ციტრუსების მოყვანისა და დამზადების აგრარული, დახარისხების, ციტრუსების საკონსერვო

გადამუშავების ლოგისტიკის და ინტერმოდალური სატრანსპორტო პროცესების, გასაღებისა და განაწილების (ნედლეულის ბაზრიდან პროდუქციის გასაღების ბაზარი) ქვესისტემებში ციტრუსების მატერიალური ნაკადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების კვლევა.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია სისტემების საერთო, მარკეტინგის თეორიებზე, ინტეგრირებული და სასაქონლო მოძრაობის ლოგისტიკის თეორიებზე და პრინციპებზე, მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების მართვისა და ინტერმოდალიზმის თეორიებზე და მოიცავს: სისტემური მიდგომისა და სისტემური ანალიზის მეთოდებს; ოპერაციათა გამოკვლევის და შემთხვევითი პროცესების მეთოდებს; ინფორმაციის განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების, მრავალკრიტერიალური ამოცანების ოპტიმიზაციის მეთოდებს; თამაშებისა და სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორიებს; მოსავლის აღების, გადაზიდვითი და დამზადებითი პროცესების ორგანიზაციის თეორიებს; სტრუქტურული და იმიტაციური მოდელირების თეორიებს და სხვ.

გამოყენებულ იქნა სატრანსპორტო-სასაწყობო-საწარმოო, განაწილებითი და ლოგისტიკის პროცესების ეფექტურობის მაჩვენებლების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

**სამეცნიერო სიახლე:** საკვლევ ნაშრომში ჩატარებულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცეს გადაგვეწყვიტა საზღვარგარეთის სასაქონლო ბაზრებზე ქართული დახარისხებული და შეფუთული ციტრუსების პროდუქციის დამზადების, მიღებისა და გადამუშავების, შენახვისა, შეფუთვისა და კონსოლიდაციის მიწოდების ინტერმოდალური სისტემების შექმნის, ეფექტურობის ამაღლების და კონსოლიდაციის ლოგისტიკის სისტემის კომპლექსური თეორიის დამუშავების პრობლემის საკვანძო საკითხების გადაწყვეტა. ინტეგრირებული ლოგისტიკის, ინტერმოდალიზმისა და მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების ოპერატორული გამჭოლი მენეჯმენტის პირობებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტის საკვანძო საკითხების გადაწყვეტის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენენ შემდეგი დებულებები:

1. რეგიონული მაკროლოგისტიკის აგრარული ცენტრის სისტემაში პროცესების კომპლექსური სისტემური ანალიზი (სისტემური გამოკვლევების მეთოდოლოგია), აგრარული ცენტრის დამზადებით, საწარმოო და განაწილების სისტემებში პროცესების შესრულების ალბათურ კანონზომიერებათა და გარემო ფაქტორების განუსაზღვრელობის ხასიათს;
2. აგრარული ცენტრის სისტემაში გადასაწყვეტი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების სისტემური ანალიზი და კვლევის მიმართულებების დადგენა. მოცემული ნაშრომის სამეცნიერო სიახლედ უნდა ჩაითვალოს;
3. სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტის ხასიათიდან გამომდინარე მისი გადაწყვეტა საწარმო-სატრანსპორტო, სატრანსპორტო-სასაწყობო და სასაწყობო-საწარმოო კვლევის ამოცანებად, რომელთა გადაწყვეტა წარმოებს მიწოდებათა ჯაჭვების ინტეგრირებულ მოდელის ანუ მიწოდებათა ჯაჭვების დაგეგმვის სტრატეგიული მოდელის სახით, რომლის გადაწყვეტაც პასუხობს ნაშრომის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს;
4. ლოგისტიკის მეთოდებით საწარმო-სატრანსპორტო, სატრანსპორტო-სასაწყობო ქვესისტემების ამოცანების ოპტიმიზაციის მოდელებისა და მათი გადაწყვეტის ოპტიმიზაციის ალგორითმების აგება. ოპტიმიზაციის კომბინირებული კრიტერიუმის გათვალისწინებით.  
გარდა ამისა, აგებული მოდელი ითვალისწინებს ფორმირებული გამსხვილებული სატრანსპორტო რეგიონული დარგობრივი აგრარული ცენტრის სტრუქტურულ-პარამეტრულ მოდელირებას.
5. აგებული ციტრუსების საავტომობილო გადაზიდვების ოპტიმიზაციისა და მომსახურების პოლიგონზე პერიფერიულ მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების განლაგების ოპტიმიზაციის მოდელებს;
6. დამამზადებელი და გამანაწილებელი საწყობების განლაგების ოპტიმიზაციის, ციტრუსების პირველადი და მზა პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების სისტემების, ნედლეულისა და მზა პროდუქციის დროებითი შენახვის, შეფუთვისა და კონსოლიდაციის საწყობის ტექნიკური აღჭურვილობისა და ფუნქციონირების

ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელები და მეთოდები აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაშრომის სამეცნიერო სიახლის ელემენტებად.

აგრარული ცენტრისა და მისი ქვესისტემების ოპტიმიზაციის შექმნილი მეთოდები ორიენტირებულია თანამედროვე კომპიუტერების გამოყენებაზე გადაწყვეტილებათა კვლევის პროცესში შემოთავაზებულ იდეალიზაციათა და თეორიულ გამოკვლევათა შედეგების სანდოობის შემოწმება რეკომენდირებულია რამოდენიმე კრიტერიუმის გამოყენებით.

**სამუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობა.** რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების ოპტიმიზაციის დამუშავებული კომპლექსური თეორია აერთიანებს მეთოდური უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში ლოგისტიკის აგრარული ცენტრების შექმნის ანდა სრულყოფის ძირითად ეტაპებს. უზრუნველყოფს მატერიალური ნაკადის სასიცოცხლო ციკლის ძირითად ეტაპებზე აგრარული ცენტრების ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების ჩატარების ფაქტორების შესაძლო შერწყმის გათვალისწინებით.

დამუშავებული მეთოდები შესაძლებლობას გვაძლევენ დავასაბუთოთ აგრარული ცენტრისა და მისი ქვესისტემების განვითარებისა და რაციონალური სტრუქტურის სტრატეგიები, პროდუქციის გამოშვების ოპერატიული და მიმდინარე დაგეგმვა, სატრანსპორტო და სასაწყობო ქვესისტემების დაგეგმვა, გადაზიდვების მარშრუტების ოპტიმიზაცია; სხვადასხვა ტიპის საწყობების ტექნიკური აღჭურვილობის, განლაგების და ფუნქციონირების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება განსხვავებულ საწარმოო და ეკონომიკურ პირობებში.

**სადისერტაციო სამუშაოების სტრუქტურა და მოცულობა.** დისერტაციაში მასალების გადმოცემა, სტრუქტურა, ლოგიკა და მასალის გადმოცემის თანმიმდევრობა განსაზღვრულია გამოკვლევის მიზნების, ამოცანებისა და მისაღწევი შედეგების მიღწევის ლოგიკით. სამუშაო შედგება შესავალისაგან, ლიტერატურის მიმოხილვისაგან, ექვსი თავისაგან, ბიბლიოგრაფიის სიისაგან, ძირითადი დასკვნებისაგან და დანართებისაგან.

**პირველ თავში** ჩატარებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სასაქონლო ბაზრებზე ქართული ციტრუსოვანი ხილის მიწოდების ინტერმოდალური სისტემის

შექმნის ახალი მოდელის შექმნა რეგიონული აგრარული ცენტრის მეშვეობით, რომელიც თამაშობს საერთაშორისო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის ცენტრალური კომპანიის როლს, რომლის ოპტიმალური ორგანიზაციისათვის საჭიროა მათემატიკური მოდელირების ოპტიმიზაციის ამოცანის დასმა.

**მეორე თავი** მიძღვნილია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის სტრუქტურულ - ფუნქციონალური გამოკვლევისადმი და ფუნქციონირების დაგეგმვის ოპტიმიზაციის სტრუქტურული სისტემური მათემატიკური მოდელის საფუძვლების დამუშავებისადმი. მიწოდებათა ჯაჭვების უფრო რეალისტური სტრუქტურის სახით რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრი ნაჩვენებია როგორც ცენტრალური კომპანია შესაძლო კავშირების სიმრავლით სხვა მიმწოდებლებთან და მყიდველებთან.

**მესამე თავში** მოცემულია რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრის სტრუქტურულ-ფუნქციონალური სისტემის გამოკვლევა და ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავება.

ლოგისტიკის აგრარული ცენტრის ფორმალიზებული აღწერის თანახმად დამუშავებულ იქნა მისი ტექნიკური აღჭურვილობა და ფუნქციონირების ოპტიმიზაციის ალგორითმის ბლოკ-სქემა, რის საფუძველზეც ჩატარდა ცენტრის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პარამეტრების გამოკვლევა და ოპტიმიზაცია.

**მეოთხე თავში** მოყვანილია ციტრუსების საექსპორტო გზავნილებათა სისტემის სარკინიგზო (საზღვაო) გადაზიდვების ორგანიზაცია და დაგეგმვა საბორნე გადასასვლელების გამოყენებით.

ციტრუსების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულია გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეული ბრტყელ სამირეებზე ზომებით 800 X 1200 მმ და 1000 X 1200 მმ. ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულია სატვირთო სარკინიგზო ვაგონი ტვირთამწეობით 60 ტ.

დამუშავებული იქნა ციტრუსებით დატვირთული სარკინიგზო ვაგონების ტრანსპორტირების პროცესის მოდელირება ზემოაღნიშნულ მარშრუტზე და პარამეტრების გამოკვლევა და ოპტიმიზაცია საწყის, მოძრაობისა და საბოლოო ოპერაციებზე.

დამუშავებულ იქნა ციტრუსების სარკინიგზო გადაზიდვების პროცესის ტრანსპორტირების მათემატიკური მოდელირების პროცესის ალგორითმიზაცია. ჩატარებულ იქნა პროდუქციის სარკინიგზო პაკეტური გადაზიდვების საწყისი, მოძრაობისა და საბოლოო ოპერაციების გამოკვლევა და ოპტიმიზაცია სამუშაოში მოყვანილია სატრანსპორტო პროცესის ფუნქციონირების მოდელი, რომელშიდაც გათვალისწინებულია მიწოდებათა ჯაჭვის ცალკეული ელემენტებისა და მთლიანად მთელი ჯაჭვის გამშვებუნარიანობა.

მეხუთე თავში წარმოდგენილია მარშრუტით დანიშნულების ტერმინალი (DAT) დანიშნულების პუნქტი (DAP) ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის საავტომატიზაციო პაკეტური გადაზიდვების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავება. ასეთი სახის გადაზიდვები ეწყობა იმ შემთხვევაში, როდესაც დანიშნულების პუნქტში არ არის სარკინიგზო ტრანსპორტი. ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავებისათვის საჭიროა ჩამოვყალიბოთ შეზღუდვების ნაკრები გადაზიდვის თითოეული ეტაპისათვის და საერთო ქვესისტემათშორისი შეზღუდვები. შევირჩიოთ მიზნის ფუნქცია თითოეულისათვის და გადაზიდვის სატრანსპორტო ლოგისტიკის სისტემისათვის.

ეკონომიკური ეფექტურობის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმი  $\max SDS^{ML} \geq 0$ ; შემოსავლიანობის ინდექსი  $SI \geq 1$  და შემოსავლიანობის შინაგანი ნორმის  $MSN_i \geq F_i^{ob}$  კრიტერიუმების კომბინაცია.

დასაბუთებულია სატრანსპორტო პროცესის ოპტიმალური შეფასების სრულყოფის აუცილებლობა და ვლინდება სატრანსპორტო პროცესის რაციონალური ურთიერთქმედების მიმართულებები ყველა დანარჩენ პროცესებთან მატერიალური ნაკადის პირველწყაროდან საბოლოო მომხმარებლამდე.

მეექვსე თავში მოცემულია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდებათა ქვესისტემის და ოპერატორული მართვის კომპანიების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკა. ამავე დროს განხილულია სასაქონლო მოძრაობის მიწოდებათა ჯაჭვების დანახარჯების ფორმირებისა და ურთიერთქმედების მოდელები.

დასკვნა მოიცავს თეორიულ განზოგადოებებს და პრაქტიკულ წინადადებებს დამუშავებული მიდგომების გამოსაყენებლად მიწოდებათა ჯაჭვებში სატრანსპორტო-ლოგისტიკის პროცესების ოპტიმალურ შეფასებებში.

### **კვლევის შედეგების აპრობაცია**

სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი დებულებები წარდგენილ იქნა და მიიღეს მოწონება სხვადასხვა დონის სამეცნიერო-პრაქტიკურ კონფერენციებზე. დისერტაციის შედეგები განხილულ იქნა ქუთაისის წერეთლის სახელობის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ლოგისტიკის სექციაზე.

**ავტორის პუბლიკაციები.** სადისერტაციო გამოკვლევის ძირითადმა დებულებებმა თავისი გამოხატულება მიიღეს 4 სამეცნიერო შრომაში საერთო მოცულობით 1 ნაბეჭდი თაბახი. ოთხივე შრომა გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებად ჟურნალებში “MACHINES TECHNOLOGIES MATERIALS”. YEAR IX, Issue 10/2015 და Issue 3/2016 [WWW.stumejournals.com](http://WWW.stumejournals.com) ; “SCIENS.BUSINESS.SOCIETY”.YEAR 2 , Issue 2/2017. [WWW.stumejournals.com](http://WWW.stumejournals.com) ; და International scientific journal “transport&MOTAUTO WORLD”. YEAR II, Issue 4/2017. [WWW.stumejournals.com](http://WWW.stumejournals.com) .

ორ სახელმძღვანელოში პროფილის მიხედვით, მოცულობით 65,25 ნ.თ.

სადისერტაციო სამუშაო მოცულობა და სტრუქტურა: მასალის გადმოცემის სტრუქტურა, ლოგიკა და თანმიმდევრობა დისერტაციაში განსაზღვრულია გამოკვლევის მიზნითა და ამოცანებით. სამუშაო შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგებისა და მათი განსჯის ექვსი თავის, დასკვნებისაგან, ბიბლიოგრაფიის სიისაგან, რომელიც მოიცავს 149 დასახელებას და დანართებისაგან. სამუშაოს მოცულობა შეადგენს – 203 გვერდს.



## თავი 1. განსახილველი საკითხის აქტუალობა და ამოცანის დასმა

### 1.1. ინტეგრირებული ლოგისტიკა და ინტერმოდალიზმის თეორია, საერთაშორისო მარკეტინგი, როგორც საერთაშორისო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა ოპტიმალური სისტემის შექმნის მეთოდოლოგიური საფუძველი

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლოგისტიკის სისტემების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ინტეგრაცია. ლოგისტიკის ინდუსტრიის განვითარება განვითარებულ ქვეყნებში წარმოდგენილია ლოგისტიკის ცენტრების, ტერმინალური კომპლექსების და ინტეგრირებული ლოგისტიკის სხვა ნაირსახეობების სახით, რომელთა განვითარების საფუძველია საქონელმომძრაობის ლოგისტიკა. ლოგისტიკის რეგიონული ასპექტების განხილვის დროს, ლოგისტიკის განვითარების ახალი ტერმინები და განსაზღვრებები დაკავშირებულია საქონელმომძრაობის ლოგისტიკასთან.

საქონელმომძრაობის ლოგისტიკა, როგორც თანამედროვე ლოგისტიკის ძირითადი მიმართულება სწავლობს მაკროლოგისტიკურ პროცესებს საქონელმომძრაობის სფეროში. დაკავშირებული სასაქონლო მატერიალური და მათი თანმხლებ საინფორმაციო, სერვისული და ფინანსური ნაკადების წინსვლასთან საქონლისა და მომსახურების სფეროში მწარმოებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე.

ინტეგრაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია – ინტეგრირებული ინფორმაციისა და კონტროლის საერთო სისტემის მისაწვდომობა. გამოყოფენ ინტეგრაციის სამ დონეს: პირველზე ლოგისტიკა ხორციელდება თითოეულ ორგანიზაციაში საქმიანობის ცალკეული სახეების სახით. მეორეზე წარმოებს შინაგანი ინტეგრაცია, როდესაც საქმიანობის სახეები ერთიანდება ერთ ფუნქციად; მესამეზე წარმოებს გარეგანი ინტეგრაცია, როდესაც ორგანიზაციები აწარმოებენ მიწოდებათა ჯაჭვის დიდ ნაწილში საქმიანობის ინტეგრაციას.

საქონელმომძრაობის ლოგისტიკა ხასიათდება ოთხი ძირითადი თვისებით: მთლიანობა და დაყოფადობა; მდგრადი კავშირების არსებობა, სტრუქტურირება და იერარქიულობა, ინტეგრირებული თვისებები [26, 27].

ჩვენი საკვლევი პრობლემის სპეციფიკა განაპირობებს, რომ საქონელმოძრაობის საფუძველზე შექმნილია ლოგისტიკის ახალი ტერმინოლოგია, რომელიც თავის თავში ასახავს ლოგისტიკის ინდუსტრიაში მიმდინარე თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს.

განხილვის პრობლემატიკა მოიცავს საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე დახარისხებული საექსპორტო ციტრუსების მიწოდების ინტერმოდალური სისტემის შექმნასა და განვითარებას რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების მონაწილეობით. მთავარ მიმწოდებელ ობიექტს წარმოადგენს რეგიონული აგრარული ცენტრი, რომელსაც თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობები აქვს რეგიონის სხვადასხვა პროფილის საწარმოებთან.

რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკის სისტემის ფორმირებას აქვს თავისი სპეციფიკა და მოითხოვს სისტემური მიდგომის ზოგიერთ პრინციპულ თავისებურებათა კონკრეტიზაციას და დაზუსტებას:

1. რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკის სისტემა წარმოადგენს იერარქიულ და სტოქასტიურ რთულ დინამიკურ სისტემას, მრავალრიცხოვანი ურთიერთმოქმედი და ურთიერთდაკავშირებული ელემენტების რგოლებისაგან;
2. რეგიონული სლს რგოლები ხასიათდებიან ფარდობითი მიზნობრივი და ფუნქციონალური დანიშნულების ფარდობითი სტაბილურობით;
3. თითოეული რეგიონი, როგორც გამოკვლევის ობიექტი უნიკალურია და ხასიათდება განსაზღვრული ფაქტორების, კავშირებისა და პროცესების სისტემით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენენ სტოქასტურებს ანდა სუბიექტურებს;
4. რეგიონული სლს წარმოადგენს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების სინერგიას, კმნიან ადაპტურ სისტემას, რომლებიც მოიცავენ ობიექტსა და ლოგისტიკის მართვის სუბიექტს.
5. რეგიონული სლს სინთეზის დროს გამოყენებულ იქნას ლოგისტიკის ინტეგრალური პარადიგმა. განსახილველი სისტემები მოიცავენ მიკროლოგისტიკისა და მაკროლოგისტიკისა სისტემებს; გლობალური

მაკროლოგისტიკის სისტემებს; სატრანსპორტო ლოგისტიკას; სატრანსპორტო კვანძს; რეგიონული ინტეგრირებული ლოგისტიკის სატრანსპორტო-განაწილებითი სისტემას; სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობას; მრავალფუნქციური ტერმინალური კომპლექსს, მულტიმოდალური ლოგისტიკის სატრანსპორტო-გამანაწილებელი ცენტრს; ტვირთების ინტერმოდალური გადაზიდვას; საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს; განაწილების ლოგისტიკას; რეგიონული ლოგისტიკას; დისტრიბუციას, რეგიონული ლოგისტიკის სატრანსპორტო გამანაწილებელი ქსელს. ყველა ტერმინი ინტეგრირებულ ლოგისტიკაში განისაზღვრება ახლებურად და აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში [7, 20, 21, 24, 25, 26, 27, 45, 70, 83].

მეოცე საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საკონსულტაციო კომპანიაში „ოლივერი და ვებერი“ (1992 წ.). ქრისტოფერმა და მენტცერმა საფუძველი დაუდეს მატერიალური ნაკადების მართვის ახალ მეცნიერებას, რომელსაც უწოდეს მიწოდებათა ჯაჭვების მართვა (Supply chain Management). ამჟამად ამ მეცნიერების მართვის მიზნით საერთაშორისო მართვისათვის შექმნილია „მიწოდებათა ჯაჭვების მართვის საბჭო“ (აშშ), ევროპის ლოგისტიკოსთა ასოციაცია (ELA) და სხვ. ამჟამად შექმნილია მიწოდებათა ჯაჭვების მართვის საერთაშორისო ორგანიზაციები: Accenture, კვლევითი ინსტიტუტები და მისი გამოყენების მეთოდური სახელმძღვანელოები [26, 27, 48, 13, 15, 109, 135, 137, 140].

SCM – ესაა მაღალინტეგრირებული კომპლექსური და სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს გაცვლის ერთდროულად მრავალი აქტის განხილვას და გათვალისწინებას.

მიწოდებათა ჯაჭვების მართვა – ეს არის რვა საკვანძო ბიზნეს პროცესის მართვა, სახელდობრ: 1. მომხმარებელთა ურთიერთდამოკიდებულებათა; 2. მომხმარებელთა მომსახურების; 3. მოთხოვნის მართვა; 4. შეკვეთის შესრულება; 5. საწარმოო ნაკადის; 6. მომარაგების; 7. პროდუქციის დამუშავებისა და კომერციულ შემსრულებამდე დაყვანის; 8. დაბრუნებული ნაკადის, ამ პროცესებს შორის არსებობს კავშირების ოთხი ძირითადი ტიპი: 1. მართვადი პროცესი კავშირებს შორის; 2. პროცესებს შორის

კავშირების მეთვალყურეობა; 3. უმართავი პროცესები კავშირებს შორის; 4. კავშირები, რომლებიც არ შედიან მიწოდებათა ჯაჭვებში.

საერთაშორისო ლოგისტიკის ცნების ქვეშ ვიგებთ, როგორც წესი, მდგრადი მაკროლოგისტიკის სისტემების შექმნის სტრატეგიას და ტაქტიკას, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბიზნეს სტრუქტურებს შრომის საერთაშორისო დანაწილების, პარტნიორობისა, კოოპერაციის საფუძველზე ხელშეკრულებების, შეთანხმებების საერთო გეგმების ფორმაში, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის დონეზე, [1, 9, 122].

გლობალიზაციის ტენდენცია, ერთის მხრივ, ასახავს მზა პროდუქციის გასაღების ბაზრების წარმოების მატერიალური რესურსებით, სამუშაო ძალითა და კაპიტალით მომარაგების გლობალიზაციას, რომელიც დამახასიათებელია ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის და ფინანსურ სამრეწველო ჯგუფებისათვის, ხოლო მეორე მხრივ გლობალური სახელმწიფოთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკის, ტელესაკომუნიკაციო, სადისტრიბუციო და სხვა მაკროლოგისტიკის სისტემების შექმნასა და განვითარებას [2, 4].

განვითარებულ ქვეყნებში შექმნილია მიწოდებათა სრულყოფილი ჯაჭვები და ლოგისტიკის სისტემები.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის ორგანიზაციებს გააჩნიათ გასვლის სტრატეგიების სიმრავლე [19]: ექსპორტირება; ლიცენზირება; ერთობლივ საწარმოთა შექმნა; საკუთრებაში შექმნა; იმპორტირება; შემხვედრი ვაჭრობა და საბაჟო გადასახადების დაბრუნება.

თითოეული სტრატეგიის შიგნით (მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების) არსებობს საერთაშორისო ლოგისტიკის ტრანსაქციების მსხვილი მონაწილენი 1) ეროვნული ბანკი და ეროვნული სამთავრობო სააგენტოები; 2) საზღვარგარეთის ბანკი და უცხოური სამმართველო სააგენტოები.

ჩამოთვლილი სტრუქტურებიდან ზოგიერთი მჭიდროდ არის დაკავშირებული ლოგისტიკასთან, ხოლო სხვები გავლენას ახდენენ ლოგისტიკის პროცესის ცალკეულ უბნებზე.

გლობალურ ლოგისტიკაში ლოგისტიკის პოტენციალი მიმართული უნდა იყოს ფირმის სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე და საკონკურენციო უპირატესობებს მსოფლიო ეკონომიკაში წარმოადგენს [117, 15]: ლიდერობა პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის დონეში; ლიდერობა დანახარჯებში; დიფერენციაცია და სტრატეგიული ფოკუსი. ამ ფაქტორების განმარტება მოყვანილია სპეციალურ ლიტერატურაში [122].

საერთაშორისო ბაზრების მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ ლოგისტიკის სისტემები და მიწოდებათა ჯაჭვები: მათი სტრუქტურის ძირითად ელემენტებს შეადგენენ: ლოგისტიკის სისტემა, ლოგისტიკის სისტემის რგოლი, ლოგისტიკა (ვიწრო და ფართო გაგებით); ლოგისტიკის ჯაჭვი, ლოგისტიკის არხი, მიწოდებათა ჯაჭვების მართვა, ლოგისტიკის მენეჯმენტი. ამ ტერმინების განმარტებები მოყვანილია ლიტერატურაში [19, 45].

სახელმწიფო ორგანოების როლი ამ სფეროში (კერძოდ საბაჟოების) გამოიხატება ექსპორტულ-იმპორტული ნაკადების მოწესრიგებასა და რეგულირებაში, მომხმარებელთა დაცვაში, აკრძალული საქონლის შეტანა გამოტანაში, კონტრაბანდის თავიდან აცილებაში.

საგარეო ეკონომიკური კავშირების გამოკვლევებში ყურადღება ეთმობა შემდეგ ეკონომიკურ კატეგორიებს: მსოფლიო ბაზარი, შრომის საერთაშორისო დანაწილება; საერთაშორისო ვაჭრობა; ამ ტერმინების განმარტებები მოცემულია ლიტერატურაში [62].

საგარეო ვაჭრობის გარიგებების ძირითად სახეებს, რომლებიც დაკავშირებულია გადაზიდვებთან წარმოადგენს იმპორტული და ექსპორტული გარიგებები. ამ გარიგებათა გარდა არსებობს სხვა გარიგებები: რეექსპორტული, რეიმიპორტული, საქონელგაცვლითი, საკომპენსაციო, საკომისიო და საკონსიგნაციო გარიგებები, რომელთა განმარტებები მოყვანილია [125].

გაერთიანებათა ძირითად ორგანიზაციულ ფორმებს წარმოადგენენ სამრეწველო ფორმების მომარაგება-გასაღების ორგანოები, აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო-საშუამავლო საწარმოები. მათ მიეკუთვნება: ექსპორტულ-იმპორტული სავაჭრო; საექსპორტო-საიმპორტო, საბითუმო და საცალო-სავაჭრო ფორმები, საშუამავლო

საქმიანობის აწარმოებენ ბროკერები. ამ ფირმების და ფიზიკური პირების ფუნქციები, მუშაობის თავისებურებანი, საქმიანობის მასშტაბები და სხვა უფლებამოსილებანი აღწერილია ლიტერატურაში [5, 23, 19, 73].

სტიმული საერთაშორისო ოპერაციების ჩატარებისათვის განისაზღვრება ბიზნესის სტრატეგიებით. ახალი ოპერაციები საზღვარგარეთის ბაზრებზე უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის საერთო სტრუქტურას. ლოგისტიკის და სხვა სისტემები უნდა მოქმედებდნენ. ამ ნიშნისაგან დამოკიდებულებით გამოიყოფა შემდეგი ორგანიზაციები: ეროვნული ორგანიზაციები, საერთაშორისო, მულტინაციონალური და გლობალური კომპანიები. ამ კომპანიების ფუნქციონალური საქმიანობის დახასიათება და თავისებურებანი მოყვანილია ლიტერატურაში [2, 3, 5, 43, 63].

საერთაშორისო ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის ობიექტებს მიეკუთვნება: ობიექტები (გზები), რომლებიც კვეთენ ქვეყნების ტერიტორიებს; ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო გადაზიდვების მნიშვნელოვან ნაწილს (არხები, პორტები, აეროპორტები), საქონლის გადაზიდვის საერთაშორისო საინფორმაციო სისტემები.

გლობალური განაწილების მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების ფუნქციების მართვა ახალ მოთხოვნებს უყენებენ საერთაშორისო ლოგისტიკის მენეჯმენტს.

ლოგისტიკის დაგეგმვის პროცესის არასაკმარისი ინტეგრაცია კომპანიის ფარგლებში [119, 128].

საერთაშორისო შუამავლებისა და ფირმა-მწარმოებლების მიერ საერთაშორისო ლოგისტიკის ოპერაციების შესრულების დროს მათი საქმიანობის სფერო მიზანშეწონილია განვიხილოთ ორ ასპექტში [15, 116]: სამმართველო და ტექნოლოგიურში. წარმოების, მატერიალური ნაკადების წინსვლის და გასაღების უზრუნველყოფა მიეკუთვნება **ორგანიზაციულ მართვას**. სატრანსპორტო გადაზიდვების, სასაწყობო მეურნეობის, საინფორმაციო უზრუნველყოფის, მატერიალური ნაკადის მოძრაობის დაგეგმვისა და კონტროლის, თითოეულ ამ მომსახურების ეფექტურ ფუნქციონირებაზე დანახარჯების ოპტიმიზაციის

ტექნოლოგიის, წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა მიეკუთვნება **ტექნოლოგიურ მართვას**.

ტექნოლოგიური მართვის ასპექტები განაპირობებს სატრანსპორტო ლოგისტიკის ფუნქციონალურ მოცულობას და წარმოადგენს საერთაშორისო ლოგისტიკის საფუძველს [113].

საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკა სწავლობს საერთაშორისო ლოგისტიკაში ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტზე სატრანსპორტო-სატვირთო მომსახურების, გლობალური მატერიალური, და მისი თანმხლები საინფორმაციო, ფინანსური და მომსახურების ნაკადების მართვის, რეგულირებისა და კონტროლის პროცესებს [20].

სატრანსპორტო ლოგისტიკა – საწარმოო ლოგისტიკის გამოვლი-ნებაა საქმიანობაში. სატრანსპორტო ლოგისტიკის გამოყოფა განპირობებულია სამეურნეო სუბიექტის – სატრანსპორტო საწარმოს სპეციფიკით.

ტრანსპორტზე მართვის ლოგისტიკური მიდგომისადმი მიძღვნილ შრომებში განსაზღვრული სატრანსპორტო ლოგისტიკის ამოცანების გადაჭრა [20, 83].

ლოგისტიკის მენეჯმენტისათვის განმსაზღვრელს წარმოადგენს სატრანსპორტო სისტემის კომპონენტების ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც ხვდება ლოგისტიკოს-მენეჯერების პრაქტიკულ საქმიანობაში ამოცანების გადაწყვეტის დროს.

ლოგისტიკა ფართოდაა ორიენტირებული მომხმარებელზე. მისი მიზანია – პროდუქციის მიზიდვა ზუსტად დროში მინიმალური დანახარჯებით მომარაგებაზე, შენახვაზე, წარმოებაზე, შეფუთვაზე, გასაღებაზე, ტრანსპორტზე, მთავარი მიზნის რეალიზაცია წარმოებს ამოცანათა დიდი კომპლექსის გადაჭრის გზით. ეს ამოცანები იყოფა სამ ჯგუფად: გლობალური, საერთო და კერძო.

ამრიგად კონკრეტული ლოგისტიკის სისტემის (საწარმოო, კომერციული) მიზანს წარმოადგენს მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების რეგულირებისა და კონტროლის ინტეგრირებული ეფექტური სისტემის შექმნა.

ლოგისტიკის საქმიანობა დაფუძნებულია ლოგისტიკის რვა წესის (8R) შესრულებაზე, რომლებიც აღწერილია ლიტერატურაში [18]:

ლოგისტიკის რვა წესის ელემენტები მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონალური ლოგისტიკის ბაზრების შექმნის – მეორე მეთოდოლოგიური საფუძვლის – საერთაშორისო მარკეტინგის მატრიცის 7 ელემენტებთან, რომელიც დამუშავდა მატრიცის 4 ბაზაზე.

მარკეტინგის სტატუსი, თეორია და პრაქტიკა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოხდა მისი ტრანსფორმაცია კომპანიის ერთეულოვანი ფუნქციიდან თანამედროვე ბიზნესის ფილოსოფიად, ხდება მისი სტრუქტურული ორგანიზაციისა და განვითარების საფუძველი.

**საერთაშორისო მარკეტინგი (სმ)** – ეს არის მარკეტინგული საქმიანობა საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრების ასათვისებლად: ხორციელდება სამეურნეო სუბიექტების მიერ საზღვარგარეთის ბაზრებზე საკონკურენციო პოზიციების გაფართოებისა და განმტკიცების შედეგად. მარკეტინგული საქმიანობა საერთაშორისო ბაზარზე წარმოადგენს მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი საქმიანობის ძალზე სპეციფიკურ სფეროს, რომელიც რიგ შემთხვევაში მოითხოვს მუშაობის განსაკუთრებულ მეთოდებსა და ხერხებს [62].

მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე შედგება რიგი თანმიმდევრული ბიჯებისაგან: მიზნების დასახვა, ღონისძიებათა პროგრამების დამუშავება და საქმიანობის დაგეგმვა, საბაზრო გარემოს, შიდა და გარე გარემოს ანალიზი და პროგნოზი, სასაქონლო და ფასწარმოქმნის სტრატეგიების დამუშავება. სასაქონლო მოძრაობის არხების და მუშავება, მოთხოვნის ფორმირებისა და სტიმულირების პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია.

ლოგისტიკის ბაზრების ჩამოყალიბების დროს მეთოდოლოგიური ბაზისად გამოყენებული საერთაშორისო მარკეტინგის მეთოდები – ეს არის პრინციპების სისტემა, რომელიც აერთებს მიწოდებათა ჯაჭვების, საქმიანობის სახეებსა და ფუნქციებს. პრაქტიკაში მარკეტინგი დაკავებულია ბაზრის სეგმენტების ანალიზით და მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრით. მარკეტინგის პრაქტიკული გამოყენების გაგრძელებას წარმოადგენს ბაზარზე საქონლის პოზიციონირება, თავის განმასხვავებელ უპირატესობათა პოვნა და მარკეტინგული გეგმის შედგენა [109].

საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების განვითარებაში მარკეტინგის როლი და



ადგილი დაწვრილებით აღწერილია [23, 5], [60].

ლოგისტიკის მთავარი წვლილი მარკეტინგულ გეგმაში ხორციელდება ბაზარზე საქონლის მდგომარეობის განსაზღვრის მეშვეობით.

საერთაშორისო მარკეტინგის ფორმების გამოყოფა – ეს არის პროცესი, რომელშიც შედგება ექვსი თანმიმდევრული ეტაპისაგან : 1. ექსპორტი; 2. კონტრაქტული სტადია; 3. აქტიური მონაწილეობის სტადია; 4. ავტონომიური შვილობილი კომპანიების სტადია; 4. შვილობილ კომპანიაში პირდაპირი ინვესტირების სტადია; 6. გლობალური საწარმოს შექმნა [5, 143].

ლოგისტიკის ბაზრების ორგანიზაციის დროს ტვირთების შერეული გადაზიდვების ოპერატორი აწარმოებს მარკეტინგული სტრატეგიების დამუშავებას.

მსოფლიოს ეკონომიკურ ინტეგრაციულ გაერთიანებათა (NAFTA, ACEAN) (EU) განვითარებადი ლოგისტიკის ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოვლინდა მსოფლიოს რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებათა ბაზრების ძირითადი მახასიათებლები და განვითარების სპეციფიკური ტენდენციები [125].

ლოგისტიკის ბაზრების ძირითად მახასიათებელთა რიცხვს მიეკუთვნება: 1. ტრანსპორტის სახეები კონკრეტული დასახელებით; 2. ლოგისტიკის ცენტრები. სავარაუდოდ ახალი ლოგისტიკის ცენტრები უმთავრესად შეცვლილია ტერმინალური კომპლექსებით; 3. სატრანსპორტო საცობები; 4. დისტრიბუციის სისტემები სხვადასხვა სახის პროდუქციისათვის დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც აიხსნება ვაჭრობის ან განაწილების არხების აგების სხვადასხვა ხერხებით; 5. სადისტრიბუციო არხები. არსებობს გაყიდვის ახალი არხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საცადი ვაჭრობით; 6. ერთობლივი დისტრიბუცია; 7. მრავალჯერადი კონსოლიდაცია (პაკეტიზაცია, კონტეინერიზაცია); 8. პაკეტიზაცია, მსხვილი კომპანიები სარგებლობენ ISO-ს სისტემის პაკეტებით და ამ პროცესების ავტომატიზაციით; 9. დასაწყობება-კონტროლი მასზე სხვადასხვა მმართველი კომპანიების მიერ; 10. წარმოება, საწარმოო კომპანიების ქსელი; 11. სატვირთო გადაზიდვები (ძირითადი ინტერმოდალური); 12. ინტერმოდალური გადაზიდვებისა და გლობალური მიწოდებათა ჯაჭვების ოპერატორული მართვა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ დამუშავებულ და

შემოთავაზებულ იქნა **საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების ტერმინის განსაზღვრება.**

ევროპის ლოგისტიკის ბაზრის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იქმნება ერთიანი ევროპული ლოგისტიკის ბაზარი. ამან დიდი გავლენა მოახდინა ბიზნესსა და კომერციაზე. ყველაზე დიდი ცვლილებები მოხდა შემდეგ სფეროებში: გამანაწილებელი ცენტრების ცენტრალიზაცია, აუტოსორსინგისა და შუამავლობის გამოყენება; პანევროპული სატრანსპორტო ქსელის დამუშავება; ლოგისტიკის მართვის ცენტრალიზაცია და რესტრუქტურისაცია. საბაჟო პროცედურების გაუქმებამ გამოიწვია ტრანსპორტირების, შეფუთვებისა და მარკირების ეფექტურობის ამაღლება [124, 119, 122].

რეგიონულ ლოგისტიკის ბაზრებში ლოგისტიკის მომსახურების პროვაიდერები თავიანთ არსენალში იყენებენ ერთ ან რამდენიმე სტრატეგიის: **მომხმარებელთა მომსახურება**, მიღწეულ უნდა იქნას მომსახურების უნიფიცირებული დონე მთელი ბაზრისათვის; **წარმოება** – წამყვანი კომპანიები მოდიფიცირებას უკეთებენ თავიანთ მიდგომებს ახალი პროდუქციის დამუშავებისა და წარმოებისადმი; **განაწილების არხის დამუშავება** – დისტრიბუციის უფრო სრულყოფილი არხების დამუშავებისათვის იქმნება ბაზრების გამოკვლევის ჯგუფები რეგიონის ყველა ქვეყანაში; **სორსინგი** – წამყვანი კომპანიები რეგულარულად აანალიზებენ ან აზუსტებენ სამუშაოთა თავის სტრატეგიებს მიწოდებების/შესყიდვების წყაროებთან; **დისტრიბუცია** – წამყვანი კომპანია ლიდერები ძირითად გადამზიდავებთან ამუშავებენ მუშაობის გადაზიდვების პროგრამებს, იყენებენ კონსოლიდაციის სხვა ფორმებს; **გაყიდვები და მარკეტინგი** – წამყვანი კომპანიები ამუშავებენ გაყიდვების ან და მარკეტინგის სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებენ კონკრეტულ მომხმარებლებს და ბაზრებს; **ორგანიზაციები** – ლიდერი კომპანიები ქმნიან საკუთარ სტრუქტურებს ბაზრების ტერიტორიების, ბიზნესის მართვისათვის, აწარმოებენ თავიანთი თანამშრომლებისა და გამყიდველების სპეციალურ მომზადებას. რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების დამფუძნებელი დოკუმენტების შესაბამისად.

ჩამოთვლილი სატრანსპორტო და ლოგისტიკის პრობლემების გადაჭრის ხარისხის ამაღლებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოპტიმალურ სამმართველო

გადაწყვეტილებათა გამომუშავებას მოდელირების თანამედროვე მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ყველა ფორმა მოითხოვს იმ ფაქტორების მკაფიოდ ცოდნას, რომელთაც უნარი აქვთ გავლენა მოახდინონ ორგანიზაციის ლოგისტიკის სისტემის მუშაობაზე. ეს ფაქტორები არის ორი სახის: კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი ფაქტორების მოქმედება დაწვრილებითა განხილული ლიტერატურაში [19, 125].

გლობალური ლოგისტიკის ბაზრების სისტემის მართვის პროცესი შეიძლება დავყოთ ხუთ კატეგორიად: გარემოს ანალიზი, დაგეგმვა, სტრუქტურა, გეგმის რეალიზაცია, კონტროლი ლოგისტიკის პროგრამების მუშაობაზე.

გლობალური ლოგისტიკის მართვის პროცესის საერთო მიზანია შეიქმნას ლოგისტიკის სისტემები და მიწოდებათა ჯაჭვები თითოეული ლოგისტიკის ბაზრისათვის. ასეთი მიზანი ითვალისწინებს თითოეული ბაზრისათვის სხვადასხვა მახასიათებლების ყოველმხრივი ანალიზის ჩატარებას, მათი ალტერნატივების და სტრატეგიების დამუშავებას.

გლობალური ლოგისტიკის მართვის პროცესის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს დანახარჯებისა და მომსახურების კომპრომისული ვარიანტების ანალიზი [49].

**ჩვენ გამოკვლევაში განვიხილავთ ეროვნულ სამრეწველო ექსპორტული პროდუქციის მიწოდების სისტემის ოპტიმიზაციის ევროპულ ბაზარზე ბალტიისპირეთის, პოლონეთისა და ბელორუსიის რესპუბლიკებში საქართველოს საზღვაო პორტების გამოყენებით. ამ პრობლემის გადაწყვეტიდან გამომდინარე მათ მისაღებად ვიყენებთ მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების ინტეგრაციულ მოდელს.**

რადგანაც ლოგისტიკის ბაზრები გამოკვლევის დასმული მიზნის შესაბამისად წარმოადგენს რთულ ტექნიკურ სისტემას ფუნქციონირების გარემოს განსაზღვრულ პირობებში. მატერიალური ნაკადების სტოქასტიური ხასიათის გამო. ასეთი სისტემების მოდელირების გავრცელებულ სახეს წარმოადგენს იმიტაციური (სისტემური სტრუქტურული) მოდელირება [31, 78].

ზემოთმოყვანილი მსოფლიოს ეკონომიკურ გაერთიანებათა ლოგისტიკის

ბაზრების მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები გვაძლევს ძირითად ორიენტირების ვექტორს საქონელგამტარი სისტემების შექმნისათვის TRACECA - ს მიზიდულობის ზონაში და ოპტიმალურად ფუნქციონირებად ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების მიმართულებებს შავი ზღვა-კასპის ზღვის რეგიონში, რომელიც პერსპექტივაში ევროპის ლოგისტიკის ბაზრის, შემადგენელი ნაწილი გახდება.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ევროკავშირის ანალოგიური სატრანსპორტო და ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის, მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების შესაქმნელად საჭიროა ლოგისტიკის ბაზრების შექმნა და განვითარების ოპტიმიზაციის შესაბამისი მეთოდოლოგიის დამუშავება არსებულ თავისებურებათა გათვალისწინებით რაც მრავალგეგმიურ პრობლემას წარმოადგენს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს რეგიონული ლოგისტიკის ბაზრის შექმნა და განვითარება არსებული თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა მოხდეს ანალოგიური სისტემების განვითარების მიმართულებათა ანალოგიის საფუძველზე ევროკავშირში. საჭიროა შეიქმნას ძლიერი საერთაშორისო რეგიონული სატრანსპორტო და რეგიონული ინფრასტრუქტურა. ინტერმოდალიზმისა და მიწოდებათა ჯაჭვების მართვის კონცეფციების საფუძველზე ფუნქციონირების პროცესების ოპერატორული და სტრატეგიული მართვით მათი შემდგომი ინტეგრაციით ევროკავშირის ლოგისტიკის ბაზარში.

## **1.2. ციტრუსების რეალიზაციის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემის შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის პრობლემებზე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოთა ანალიზი**

საერთაშორისო ლოგისტიკური ბაზრის, როგორც საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ნაწილი ერთის მხრივ, და სამხრეთ კავკასიის შესაბამისი ქვეყნის

ეროვნული ლოგისტიკის სისტემის შესაბამისი ნაწილის, მეორე მხრივ-ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ ქვეყნების ეკონომიკის ეფექტური დაკავშირება ევროპისა და მსოფლიო სასაქონლო და ლოგისტიკის ბაზრებთან. სატრანსპორტო-ლოგისტიკის სერვისის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფის პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიის გავლით მატერიალური ნაკადების მოცულობა ორივე მიმართულებით იზრდება.

საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების, როგორც ინტერმოდალიზმისა და მიწოდებათა ჯაჭვების მართვის კონცეფციების საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო საქონელგამტარი სისტემის ფუნქციონირების პრინციპებს მიეკუთვნება: კომერციულ-სამართლებრივი რეჟიმის ერთგვაროვნება; მატერიალური ნაკადების მოძრაობის ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა; სატელეკომუნიკაციო ქსელების და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების მაქსიმალური გამოყენება; ლოგისტიკის პროცესებში მონაწილე ყველა ლოგისტიკის პარტნიორის მოქმედებათა ერთიანი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პრინციპი; ლოგისტიკის შუამავლების კოოპერაცია; სხვადასხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვების და სატრანსპორტო-ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარება [18].

ლოგისტიკის ბაზრების ანალიზისა და პროექტირების დროს მიზანშეწონილია გამოვიყენოთ დამუშავებული და აპრობირებული მრავალი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელთაგან ძირითადი შემდეგია [18, 53].

1. სისტემური მიდგომა, რომელიც მოითხოვს რლ სგს ელემენტების განხილვას, როგორც ურთიერთდაკავშირებულსა და ურთიერთმოქმედს სისტემის ფუნქციონირების საერთო მიზნის მისაღწევად;
2. ტოტალური დანახარჯების პრინციპი, მოითხოვს დანახარჯების მთელი ერთობლიობის გათვალისწინებას. დაწყებული ნაკადის ჩასახვის მომენტიდან საბოლოო მომხმარებელთან მის მიტანამდე;
3. გლობალური ოპტიმიზაციის პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია სისტემის ცალკეული ელემენტების ლოკალური ინტერესებისა და მიზნების შეთანხმების მიღწევასთან;

4. ლოგისტიკის კოორდინაციისა და ინტეგრაციის პრინციპი, დაფუძნებული რეგიონული სგს ყველა სუბიექტის შეთანხმებული ინტეგრირებული მონაწილეობის მიღწევაზე სისტემის მთავარი მიზნის ფუნქციის რეალიზაციის დროს;
5. ქვესისტემების საჭირო კომპლექსის დამუშავების პრინციპი;
6. ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპი (TQM), რომელიც დაფუძნებულია საქონლისა და მომსახურების სახით საბოლოო მომხმარებელზე, აგრეთვე ფუნქციონირების საიმედოობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფაზე;
7. რლ სგს ყველა ფუნქციისა და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებათა ჰუმანიზაციის პრინციპი;
8. მდგრადობისა და ადაპტურობის პრინციპი, რომლის თანახმადაც რლ სგს მდგრადად უნდა ფუნქციონირებდეს შიდა და გარე ფაქტორების ფუნქციონირების დროს. სლ სგს ფორმირება საერთოქსელური სატრანსპორტო კვანძების საფუძველზე, აქვს თავისი სპეციფიკა. მოიცავს დამატებით საერთო სისტემურთან შემდეგ მეთოდოლოგიურ პრინციპებს:
9. სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციის პროგრესული ტერმინალური მულტი და ინტერმოდალური ტექნოლოგიების გამოყენება;
10. კლიენტების კომპლექსური სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების რეგიონული სისტემის ორგანიზაცია დაფუძნებულია ტვირთ და საქონელმომძრაობის სისტემის მართვის ტერმინალურ ტექნოლოგიაზე და ლოგისტიკის პრინციპებზე;
11. რეგიონში ლოგისტიკის შუამავლების ინსტიტუტის განვითარება;
12. რლ სგს შექმნის რეგიონული მიზნობრივი პროგრამის რეალიზაციის ეფექტური მექანიზმის დამუშავება, დაფუძნებულია ერთიან ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი სივრცის ფორმირებაზე;
13. სატრანსპორტო-ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის ობიექტების წილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროების მიწვევით;

14. ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნა ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების ქვესისტემით;
15. ტვირთმოდრაობის რეგიონული სისტემის ყველა მონაწილის თანა-სწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, ურთიერთმომგებიან დამოკიდებულებათა განვითარება;
16. პროგრესული ლოგისტიკის ტექნოლოგიების გამოყენება;
17. დროში და სივრცეში მზა პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და განაწილების შეთანხმება საბოლოო მომხმარებლამდე, საჭირო დონის სატრანსპორტო-ლოგისტიკის სერვისის ამაღლება.

ლოგისტიკის სისტემების ფუნქციონალური უზრუნველყოფის საკითხთა ფართო წრე გაშუქებულია დ. ბაუერსოკისა და დ.კლოსის შრომაში [7]. ნაშრომში გადმოცემულია ბიზნეს-ლოგისტიკის ყოვლისმომცველი აღწერა, აგრეთვე ინტეგრირებული ლოგისტიკის მენეჯმენტის საკვანძო ტენდენციები და პრაქტიკული ხერხების არსი.

საქმიანობათა კომპლექსი, რომელიც სრულდება ლოგისტიკის ბაზრებზე, ერთიანობაში შეადგენს სატრანსპორტო ლოგისტიკის ბიზნესს. მისი განვითარება საქართველოში განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებით და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით. სატრანსპორტო ლოგისტიკის ბიზნესის საკვანძო საკითხები გარჩეულია გ.ა. ლევიკოვის შრომაში [74]. საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი. გაანალიზებულია პროფესიული ლოგისტიკის მართვის საფუძვლების ანალიზი მიწოდებათა ჯაჭვის ფუნქციონირების გამოყენებით, რომელიც აერთიანებს მიმწოდებლებს, ტვირთმომღებებს, საბოლოო მომხმარებლებს და სატრანსპორტო-ლოგისტიკის ფირმებში.

გლობალური ლოგისტიკის სისტემების აგებისადმი და საერთაშორისო ლოგისტიკის ოპერაციების შესრულების პირობებისადმი მიძღვნილია. ვ.ი. სერგეევის [122]. ელისეევის [45. 47], ს.ვ. სარქისოვის [124] შრომები.

ვ.ი. სერგეევის შრომაში [112] სისტემატიზირებულად გადმოცემულია გლობალური ლოგისტიკის სისტემების აგებისა და ფუნქციონირების მეთოდური და პრაქტიკული პრობლემები.

